კრემსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი - გაცვლითი პროგრამა 2021/22 სასწავლო წელი

ავსტრიის კრემსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (IMC University of Applied Sciences Krems) (დუნაის კრემსი, ავსტრია) აცხადებს კონკურსს გაცვლით პროგრამაზე, სტუ-ს სტუდენტებისთვის, მევენახეობა-მეღვინეობისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, 2021-2022 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრისათვის.

უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებულია სტუ-ს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხურის 1 სტუდენტის (2 სემესტრი) ან 2 სტუდენტის (1-1 სემესტრი) მობილობა ავსტრიის უნივერსიტეტში.

შერჩეულ სტუდენტს სასწავლო კურსების არჩევა შეეძლება მხოლოდ 2022 წლის იანვარში და მას საშუალება ექნება, აირჩიოს სასწავლო კურსები განსხვავებული პროგრამებიდან. სასწავლო კურსების არჩევა შესაძლებელი იქნება ვებგვერდიდან.

სტუ-ს მიერ ნომინირებული სტუდენტი ელ.ფოსტით მიიღებს ონლაინსააპლიკაციო ბმულს, ნომინირებიდან 1-2 კვირის შემდეგ, სადაც 2 კვირის განმავლობაში უნდა ატვირთოს თავისი სააპლიკაციო განაცხადი შესაბამისი დოკუმენტაციით.

2022 წლის საგაზაფხულო სემესტრის პერიოდია 14.02.2022 - 30.06.2022. უნივერსიტეტში სტუდენტის გამოცხადება რეკომენდირებულია 1 კვირით ადრე სწავლის დაწყებამდე.

შერჩევის პროცედურა:

ბაკალავრიატის და მაგისტრატურისა სტუდენტებისთვის

სტუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტში სააპლიკაციო საბუთების მიღების ბოლო ვადაა 10.11.21.

შიდასაუნივერსიტეტო ტესტირება უცხოურ ენაში ჩატარდება 2021 წლის 12 ნოემბრამდე.

გასაუბრება სტუ-ს საკონკურსო კომისიასთან ჩატარდება 2021 წლის 17 ნოემბრამდე.

იხილეთ IMC კრემსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში საერთაშორისო სტუდენტებისთვის პრაქტიკული ინფორმაცია და საინფორმაციო ფურცელი.

იხილეთ დამატებითი ინფორმაცია:

https://gtu.ge/Suss/Programms/?ELEMENT_ID=18234

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ტელ/ფაქსი: (+995 32) 237 54 34
https://gtu.ge/Suss/
www.gtu.ge

International Relations Department
Georgian Technical University
Tel / Fax: (+995 32) 237 54 34
https://gtu.ge/Suss/
www.gtu.ge